Ziraat Bank
More than a bank

N: 872

03.09.2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის არქიტექტურის სამსახურს

წინამდებარე წერილით გაცნობებთ, რომ სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ (შემდგომში ბანკი) თანახმაა ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ (იპოთეკის ხელ # TSE.0100292.001/05) უძრავ ნივთზე (მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფ დიღომი, დიდი დიღომი; დაზუსტებული ფართობი 1200 კვ.მ; საკადასტრო კოდი 01.72.14.035.932) გაიცეს შესაბამისი შენობა-ნაგებობის მშენებლობის უფლება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ბანკის მიერ წინამდებარე წერილით გაცხადებული თანხმობა მოქმედია მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ ზემოხსენებული ქმედებების განხორციელების შედეგად:
არ მოხდება იპოთეკის საგნის იმგვარი გარდაქმნა/ცვლილება,რაც შეამცირებს მის ღირებულებას და/ან შელახავს ბანკის,როგორც იპოთეკარის ინტერესებს;
არ მოხდება იპოთეკის საგნის შემცირება;
იპოთეკის საგანზე არ გავრცელდება რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნა/უფლება);
ბანკის იპოთეკის უფლება სრულად გავრცელდება იპოთეკის საგნის გარდაქმნის/ცვლილების შედეგად მიღებულ უძრავ ნივთ(ებ)ზე.

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“
დირექტორი:
მერთ ქოზაჯიოღლუ

JSC ZIRAAT BANK GEORGIA • სს ზირაათ ბანკი საქართველო • ZİRAAT BANKASI A.Ş. GÜRCİSTAN 404534170